## წერტილდაუსმელი უპირატესობა

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 6 ივნისი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ლოკომოტივი”: სამოხინი, ხუდიევი, ოვჩინიკოვი, კამზულინი, სოლოვიოვი, რიახოვსკი, პეტრაკოვი, შელესტი, შევჩუკი (დეგტიარევი), ავერიანოვი (დანილენკო), გაზაევი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (მინაშვილი), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩაიძე,ყიფიანი (ჩელებაძე), შენგელია.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა–ათა).

გოლი გაიტანა ვ. გაზაევმა (44–ე წუთი).

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ მინდორზე ფრე ან თუნდაც მინიმალური ანგარიშით გამარჯვება სათასო ორთაბრძოლაში საბოლოო წარმატების საიმედო გარანტიის მომცემი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, “ლოკომოტივმა” მთელი მატჩი ფაქტიურად ხუთი მცველით ითამაშა. ხუდიევს ყიფიანის უვნებელყოფა ჰქონდა დავალებული, მარცხენა მცველის პოსტი კი შელესტმა დაიკავა.

ფეხბურთელთა ამგვარად განწყობა ასე თუ ისე ინიციატივის დათმობას ნიშნავს (მეტოქეს მინდვრის შუაგულში გამუდმებით ჰყავს ერთი მოთამაშით მეტი) და საფიქრებელი იყო, რომ თბილისელები ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ.

დაახლოებით შუა ტაიმიდან მოყოლებული ნათელი გახდა, რომ თამაშის სადავეები თბილისელებმა იგდეს ხელთ, მაგრამ უპირატესობა უპირატესობად რჩება თუ მას სათანადო გაგრძელება, შემდეგ კი ასეთივე დასასრული არ მოუძებნე.

ვფიქრობ, ამ მატჩში საბოლოო წერტილის დაუსმელობა სამმა ფაქტორმა განაპირობა.

პირველი წინა მატჩებიდან გამოჰყვა ჩვენს გუნდს. ისევ არ თამაშობდა გუცაევი; სამწუხაროდ, ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ გამოჯანმრთელებული არ იყო ყიფიანი. მას მხოლოდ პირველ ტაიმში და ისიც სანახევროდ ეყო ძალა.

მეორე ფაქტორი ტაქტიკური ხასიათისაა. სავარაუდო იყო, რომ რკინიგზელთა დაცვის ყველაზე სუსტ ადგილად მარცხენა ფლანგი იქცეოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ყიფიანმა საბოლოოდ გააცილა იქაურობას ხუდიევი. დარწმუნებული ვარ, ამ სიტუაციაში ერთი წმინდა გარემარბი ყველაფერს გადაწყვეტდა, მაგრამ… აი, სწორედ ეს მისია უნდა ეკისრათ “დინამოს” ნახევარმცველებს. ყველაფერი ეს, ასე თუ ისე, კარგად მარცხენა ფლანგზე განხორციელდა (გ. მაჩაიძე, მუჯირი), მარჯვენამ კი თვით მატჩის დასასრულამდე სასურველი აქტიურობა ვერ გამოიჩინა. ეს საყვედური, რაღა თქმა უნდა, ცენტრალურ ნახევარმცველებსაც ეხებათ – ალბათ მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდებოდა სწორედ ამ ზონას.

მესამე ფაქტორი უთუოდ სათასო ორთაბრძოლების სისტემის გამო წარმოიქმნა: სტუმრად ფრე თითქმის საბოლოო გამარჯვებას ნიშნავს; მინიმალური ანგარიშით მარცხიც სავსებით ასატანია. ამიტომაც იყო, რომ ვერც 44–ე წუთზე გაზაევის მიერ გატანილ გოლამდე (რაღა დასამალია და მართლაც ლამაზი გოლი იყო – თბილისელ მცველებშუა, კარისკენ ზურგით მდგომმა გაზაევმა ბურთის დამორჩილებაც მოასწრო და “მაკრატელათი” ბადეში გაგზავნაც) და ვერც შემდეგ “დინამომ” ვერ მოახერხა ეთამაშა ისე, როგორც ჩემპიონატის ლიდერს ეკადრებოდა.

ი. ბერიაშვილი (ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 8 ივნისი, 1978 წ.